

"24 საათის" ფიქციანი ნომერი

***2424**

არჩევანი რუსეთსა და ევროპას შორის

A4



"ორი" - ორი ამბავი ომზე

A6



დინამო ვარსკვლავებს ეთამაშება

A8



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ურთიერთობას

GRDC group

ჯი ჯი ჯი
შენი სადაზღვეო ჯგუფი

რუსეთის მორიგი მარცხი "საკუთარ მოედანზე"

გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე რუსეთი კიდევ ერთხელ დაუპირისპირდა ცივილიზებულ მსოფლიოს. ასამბლეაზე განიხილებოდა ინიციატივა, რომელიც უფლებას ანიჭებს საერთაშორისო თანამეგობრობას, განახორციელოს ინტერვენცია იმ ქვეყნებში, სადაც მასობრივად ირღვევა ადამიანის უფლებები. "დაცვაზე პასუხისმგებლობა" - ეს არის ინსტრუმენტი, რათა აღიკვეთოს ეთნიკური წმენდა, გენოციდი და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული მსგავსი დანაშაულები. რუსეთის სახელით, ამ ინიციატივის წინააღმდეგ გამოვიდა მიხაილ მარგელოვი, რასაც მოჰყვა გაერო-ში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის ალექსანდრე ლომაიას გამოსვლა (იხ. მე-2 გვერდზე). ამის შემდეგ გაიმართა დებატები და რუსული პოზიციის გასაძლიერებლად და ლომაიას საპასუხოდ დისკუსიაში ჩაერთო ვიტალი ჩურკინი, მაგრამ "რიცხოვრივმა უპირატესობამ" ვერ იხსნა რუსული დიპლომატია. კრემლმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ავტორიტარული რეჟიმების სწორედ იმ ნაწილს განეკუთვნება, რომელიც არ ცნობს საერთაშორისო ნორმებს და ტრანსპარენტულობას.



ბაზრქილაბა A3 გვერდზე

საქმით დამტკიცებული ერთგულება

დოიჩერი ავალიანი

შეერთებული შტატები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას კიდევ ერთხელ ადასტურებს. ვაშინგტონში თბილისისთვის სამხედრო დახმარების გაწევად ლიად საუბრობენ. შეერთებული შტატები საქართველოსთვის მძიმე შეიარაღების მიწოდებას არ გამოირიცხავენ, თუმცა დღესდღეობით თავს იკავებს იმ მიზეზით, რომ საქართველო ამისთვის მზად არ არის. შეიარაღებული ძალების წვრთნასა და მომზადებას კი საქართველოს სწორედ აშშ უჭირდება.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას საჯაროდ კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი. სახელმწიფო მდივნის მოადგილე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ფილიპ გორდონმა აშშ-ს კონგრესის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტისთვის წარდგინებულ მოხსენებაში აღნიშნა:



ბაზრქილაბა A2 გვერდზე

ინტელექტუალური ხულიბნების წინააღმდეგ

"ოზისი" "ბლურზე" პოპულარულ ჯგუფად დასახელეს

დიდი პოპულარობა, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში ორ ცნობილ კონკურენტ ჯგუფს "ოზისსა" და "ბლურს" შორის მიმდინარეობდა, როგორც იქნა დასრულდა. უფრო სწორად, ოფიციალურად დაასრულეს. ბრიტანელი მუსიკოსების უფლებათა დამცველმა ორგანიზაციამ PRS-მა გამოაცხადა, რომ ნოელ და ლაიამ გალაპერების მიერ 1991 წელს შექმნილი "ოზისი" ორჯერ უფრო პოპულარულია, ვიდრე "ბლური", თუმცა მსმენელი ერთსა და მეორესაც თითქმის ერთნაირი რაოდენობით ჰყავს.

ამჯერად PRS-მა დასკვნები სხვადასხვა სახის მონაცემებზე დაყრდნობით გააკეთა. მაგალითად, "ოზისის" ყველაზე ცნობილი ჰიტი Wonderwall, რომელიც ჯგუფის 1995 წლის ალბომში შევიდა, დღემდე ბრიტანელთა 68%-მა მოისმინა, ხოლო "ბლურის" ასევე ძალიან ცნობილი Country House 10%-ზე ნაკლებმა. საერთო ჯამში PRS-მა 14 წლის მასალა შეისწავლა. დაახლოებით ამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ეს ორი ჯგუფი ცნობილი



გახდა და პრაქტიკულად ახალ მუსიკალურ მიმდინარეობასაც დაუდეს საფუძველი.

ის რომ, მათ შორის დაპირისპირება მართლაც არსებობს, თუნდაც იმით დასტურდება, რომ ორივე ჯგუფი ცდილობს ახალი ალბომი ან სინგლი ერთსა და იმავე დღეს გამოუშვას ხოლმე. სწორედ ასე მოხდა 1995 წლის 14 აგვისტოს, როდესაც ჩარტებში "ბლურის" Country House და "ოზისის" Roll With It გამოჩნდა. საბოლოოდ ეს უკანასკნელი დამარცხდა, რადგან 20 აგვისტოს "ბლურის" კომპოზიციამ პოპიკები გაიმყარა და ერთპიროვნულ ლიდერად იქცა. Roll With It ბრიტანეთში 216 ათასიანი ტირაჟით გაიყიდა, "ბლურის" სიმღერა კი 274 ათასიანი. მოკლედ ეს ბრძოლა მაშინ "ბლურმა" მოიგო, საბოლოო გამარჯვება კი როგორც უკვე გითხარით, "ოზისისაა".

ჯგუფების წევრებს შორის პიროვნული დაპირისპირებაც არსებობს. ცნობილია ფაქტი, როდესაც "ოზისის" ლიდერმა ნოელ გალაპერმა "ბლურის" ფრონტმენ დეიმონ ალბარნს და ბასისტ ალექს

ჯეიმსს შიდასი დაავადება და მტანჯველი სიკვდილი უსურვა. მოგვიანებით გალაპერს საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოუწია, რადგან ჯგუფი ახლახან აუხსნა, რომ შიდასი სახუმარო თემა არაა. ისიც ტელევიზიით გამოვიდა და განაცხადა: "მართალია, სულაც არ ვარ "ბლურის" თაყვანისმცემელი, მაგრამ დეიმონს და ალექსს ხანგრძლივ და ბედნიერ ცხოვრებას ვუსურვებ".

მათ შორის გაუგებრობას ისიც განაპირობებს, რომ "ბლურის" წევრები ჯგუფიანი სათვალისანი ბიჭები არიან, "ოზისელები" კი ხულიბნები და დებოშიორები. ამის გამო გალაპერებს ბევრჯერ გამოუთქვამთ თავიანთი არაკორექტული აზრი, რომ თითქოს "ბლურელების" ინტელექტუალური გარეგნობა ძალიან სასაცილო და საცოდაობაა. ამის გამო მათ ხშირად დაუმსახურებიათ ბრიტანეთის მოქალაქეების რისხვა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათი შვილების კუმირი ჯგუფის წევრების მხრიდან განათლების დაცინვამ, შესაძლოა ცუდი შედეგები მოიტანოს.

საზაფხულო 25%-იანი ფასდაკლება

Tucson	Santa Fe	Sonata	HYUNDAI i30
17 550	24 500	19 400	15 200

HYUNDAI www.hyundai.ge 51 77 99

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ქიქიბური

გთავაზობთ:

ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

სიასლე! დასვენება 50 ლარად!

გაზაფხულის სასტუმრო კომპლექსში საუკეთესო ფასად, ღამისთევის გარეშე, მთელი დღის განმავლობაში შეგიძლიათ დაისვენოთ, გაართოთ და მიიღოთ შედეგი სახის მომსახურება:

- ერთჯერადი კვება (მსუბუქი ლანჩი)
- პლაჟი (ქოლგა, შეზლონგი)
- ღია აუზი (ქოლგა, შეზლონგი)
- წყლის ველოსიპედები, იალჩიანი და გასაბერი ნავეები
- სპორტული მოედნები (პლაჟის ფრენბურთი, ჩოგბურთის კორტი)
- საბავშვო ატრაქციონები
- უფასო ავტოსადგომი
- 6 წლამდე ბავშვებისთვის უფასოდ
- ბავშვები 6-დან 12 წლამდე 50% ფასდაკლებით.

ეს ყველაფერი მხოლოდ 50 ლარად!

დამატებითი ინფორმაციისთვის ღარაკით: 44 99 77 (შიდა: 30-01 ან 30-02)

მინისკვებით მაღარი გვიცავს?

უბრალოდ ქრონიკა აქცენტებით

სოფო კილასონია



ქალაქ დარტფოლდის ხელმძღვანელობამ ბევრი იფიქრა, როგორ შეემცირებინა კრიმინალი, ნაგავი და სიბინძურე მინისკვება გადასასვლელებში და ეფექტური ხერხი გამოიგონა. ამ ქალაქის მინისკვებითი დღეს ბოლო ხმაზე ისმის გუსტავ მაღერის მუსიკა, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, მოზარდებს აიძულებს უხმოდ გაიარონ გადასასვლელი, ისე რომ არ დატოვონ არც მინანურები კედლებზე და არც ბიოლოგიური მოთხოვნების იქვე დაკმაყოფილების სურვილი გაუჩნდეთ. იუნყება The Daily Telegraph. სამომავლოდ ამ ქალაქის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს მაღერის რეპერტუარს მოცარტის, ჰენდელის და სხვა კომპოზიტორების ნაწარმოებებიც დაუმატოს. მსგავსი მეთოდი გამოიყენეს სხვა ქალაქებშიც და ამაზე სხვადასხვა დროს იუნყებოდნენ ევროპული სააგენტოები. გარკვეული მალაზიების მეპატრონეები არასასურველი კავშირებისგან თავს იზღვედნენ, თუკი მალაზიიდან ხმამალა ისმოდა კლასიკური მუსიკა. რა გამოდის საბოლოო ჯამში კლასიკური მუსიკა - საუკეთესო თავდაცვა, მოზარდების ზიზლის ობიექტი, თუ რიდის გამომწვევი მოვლენა - ეს რთული სათქმელია. მაგრამ ფაქტია, რომ მისი ძალა ჯერ კიდევ არაჩვეულებრივია. თუმცა ჩვენ რა ამ ყველაფრით? არც არაფერი. თუ იქ, მინისკვებითი მშვიდობიან მოქალაქეებს მაღერი იცავს, ჩვენი ბოროტებისგან ჩვენზე ფხიზელი თვალს უკვირებს, თბილისისთვის უკვე კოლორიტული შარდის სუნისგან კი რამენაირად დაცული ჩვენი სასუნთქი ორგანოები.

მსოფლიო მასშედია ჯერ კიდევ ინტერესით დაეძებს ამბებს, სადაც რელიგია დებატებში ერთვება საზოგადოებასთან, სადაც ვითომ და აკრძალულ ხილს აგემოვნებენ. მოკლედ არ მოხერხდათ. რომის პაპიც არ აძლევს ამ მძებრებს მოდუნების საშუალებას. სულ ორი დღის წინ, ბენედიქტე მეთექვსმეტე ერთ-ერთი გამოფენას "ამაზრზენი მოვლენა" უწოდა. საქმე იმაში გახლდათ, რომ გამოფენის ორგანიზატორები დამთავალიერებლებს შთაბეჭდილებების დაწერას ბიბლიის გვერდებზე მოუწოდებდნენ. ისინიც წერდნენ, რას? - რაღაცას. ეს მეორეხარისხოვანია. სანამ პაპი შენუხდებოდა, მანამდე გლაზგოს თანამედროვე ხელოვნების გალერეის გამოფენას შოტლანდიის ეკლესიის წარმომადგენლები და ადგილობრივი კათოლიკეები აკრიტიკებდნენ.

გამოფენის სახელწოდებაა Made In God's Image, ანუ დაახლოებით -

"ღმერთის ხატებად შექმნილი". გამოფენის ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლავთ ეკლესია - Metropolitan Community Church (MCC), აღნიშნული რელიგიური ინსტიტუცია ცნობილია როგორც სექსუალური უმცირესობის დამცველი. გამოფენის მიზანი გახლდათ ამ უმცირესობათა ყურადღების მიპყრობა, ბიბლიაში მათთვის ადგილის გამოწვევა, მათი "ჩანერა", ეს ადამიანები ხომ რელიგიის მიღმა დარჩნენ. ვერ გეტყვით რომ იდეა, ჩემი აზრით, ორიგინალობასა და გონებაშეხილობას არის მოკლებული. თუ მსოფლიო ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი შეთანხმებულია და თუ ვამბობთ რომ ჩვენ ერთმანეთს არ ვარჩევთ რწმენისა და სექსუალური ორიენტაციის მიხედვით, მაშინ ლოგიკური გახლდათ რომ ერთ მშვენიერ დღეს ვინმე, ოდესმე და სადმე ასეთ რამეს მოიფიქრებდა. მაგრამ ეს გამოფენა პროტესტისა და აღშფოთების წყარო მაინც გახდა. თუმცა, ვიქნები სამართლიანი და ამ ამბავს დეტალურად გაავლობთ. გამოფენის კონცეფციამ ფორმა და დატვირთვა აშკარად იცვალა. თუ ორგანიზატორებს ჰუმანური აქტი ჰქონდათ ჩაფიქრებული, ეროვნულ რაოთხთავის ავტორების საავტორო უფლებებში, დამთავალიერებელთა უმრავლესობამ ბიბლიის ტექსტებს უწმინდური სიტყვები გადაანერგა.

მას შემდეგ რაც დამთავალიერე-



ბელთა ყველაზე მძაფრი და სასტიკი ციტატები ბრინატული პრესის ფურცლებზე აღმოჩნდა, გალერეის დირექციამ აღნიშნული ბიბლია ვიტრინაში განათავსა, ხოლო სტუმრებს ალტერნატიული რვეული შესთავაზა. სამწუხაროდ ბოლომდე გასაგები არაა რას აკრიტიკებს კათოლიკური ეკლესია, იმას რაც ჩაიფიქრა გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტმა, თუ იმას, რადაც აქცია პუბლიკამ ეს კონცეფცია. ეს საკითხი ბოლომდე გასაგები ვერაა, მაგრამ ამის მიუხედავად თემა - რელიგია, ხელოვნება და ადამიანის უფლებები ისევ გამწვავდა.

ქართველ არტისტებს შორის არსებობს ვითომ განვითარებისთვის მებრძოლთა პატარა ჯგუფები, ვითომ რადიკალების გაერთიანება, დიხ, რადიკალები შეიძლება ხელოვნათა შორისაც იყვნენ, თანაც ბევრად საინტერესო... ვითომ რადიკალები - ქართველ ხელოვნათა შორის ხშირად წერენ და პროტესტებენ, რომ საქართველოში შემოქმედებითი თავისუფლება ეკლესიისა და კონფორმისტი ფუნქციონირების მიერ იზღუდება. სინამდვილეში მგონი ის იზღუდება ყველაგან და იზღუდებოდა ყოველთვის და მგონი, სწორედ ამ საზღვრების წინააღმდეგ ბრძოლაში ვითარდებოდა პროცესები, ჩნდებოდა ახალი იდეები. სამწუხარო მხოლოდ ორია. ის რომ ქართველებისთვის ეს საზღვრები არა განვითარებისთვის, არამედ იაფფასიანი ავტორიტეტის, იოლად მიღებული პოპულარობისთვის არის დასახული, და მეორე, შემოქმედებითი თავისუფლების შეზღუდვა საქართველოში მუდამ უბეში და ცხოველური ფორმებით ხდება. ცემა, სისხლი და მხოლოდ პოსტფაქტუმ საუბრები ტოლერანტობაზე, მართლმადიდებლობაზე, ქართველების ტრადიციებზე. ამასობაში იოლად შექმნილი სისხლიანი და გაღანძვლილი გმირები გვჩვენა ხელში, ვითომ გმირები, რომლებსაც ერთი უთავბოლო გაბედული საქციელით უკვე სახელი აქვთ და მეორე მხრივ აგრესია, რომელმაც ვერც ამ შეცდომით და ვერც სხვა მრავალით ვერაფერი ისწავლა და გაიგო. საქართველოში ხელოვნები ავანტიურასაც ხშირად მიმართავენ. ამ ავანტიურას საფუძვლად სიციხილე უდევს. მაგრამ მაინც გამოსდით, იმიტომ რომ არტისტული პუბლიკა მეტომეტად იოლად აფრენს პირს. ყველაფერი რაც ზემოთ ვთქვი, მხოლოდ ქართველ ხელოვნებს რომ ეხებოდეს რაღა გვიჭირს. მგონი ისე არასდროს გავდა ქართული გასუქებული და გაბეირილი კულტურა თავისი ხელოვნებით ქართულ გაავებულ პოლიტიკას, როგორც ახლა, - ბევრი ლაპარაკი, საქმე კი თითქმის არანაირი.

"ორი" - ორი ამბავი ომზე

ქართულ-ესპანური ფილმი სან სებასტიანის ფესტივალის პროგრამაში მოხვდა

ნა ვეკა

რამდენიმე დღეში ჩვენი ქვეყანა ერთი წლის წინანდელ ათვლის წერტილს დაუბრუნდება და ამჯერად მხოლოდ ფიქრებითა და მოგონებებით ერთხელ გადავახედოთ თვალს შარშანდელი ომის ყოველ დღეს. ალბათ სიმბოლურია ისიც, რომ სწორედ ომის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ მის შესახებ გადაღებული ქართულ-ესპანური ფილმი "ორი" სან სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარ საკონკურსო პროგრამაში მოხვდა. ფესტივალი 18-26 სექტემბერს გაიმართება და სწორედ დასურვის საზეიმო ცერემონიაზე გავიგებთ, რამდენად მოსაწონი აღმოჩნდება იგი ფესტივალის ფიურისთვის.

"ორი" საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებით კავშირთან არსებული კინოკომპანია "სინეტეკისა" და ბასკური კინოკომპანია

"კინოსკოპიკის" ერთობლივი ნამუშევარია. მისი რეჟისორია მიგელ ანხელ ხიმენესი, სცენარისტი ლუის მოია, ოპერატორი გორკა გომესი, მონაწილეობენ: ხათუნა შურლია, გიორგი გოგუაძე, ბექა ქავთარაძე, ლილი ბუბუტაშვილი, თეონა ლეჟავა და იოანე გეგეჭკორი. ფილმის სიუჟეტი მთავარი გმირის, ნინოს ირგვლივ ვითარდება, რომელიც საკუთარი სიცოცხლისთვის, მომავლისთვის იბრძვის, თუმცა გზად მუდმივად პრობლემებს აწყდება. ერთ-ერთი ასეთი წინააღმდეგობა აგვისტოს ომია, რომლის დროს მოგუგუნე ბომბების ხმა ნინოს ცხოვრებას ფონით გასდევს.

"ორის" გადაღება სპონტანურად მოხდა: ბასკური "კინოსკოპიკის" გადაღებები ჯგუფი საქართველოში სექტემბის მინურულს აგვისტოს ომზე დაოკუმენტური ფილმის გადასაღებად ჩამოვიდა. თუმცა აქ არსებულმა ვითარებამ მათი გეგმები შეცვალა და მოულოდნელად მხატვრული



ფილმის გადაღების იდეა გაჩნდა. ლუის მოიამ სცენარი რამდენიმე დღეში დაასრულა, რეკორდულ პე-

რიოდშივე ჩაატარეს მსახიობების კასტინგი და გადაღებებიც დაიწყო. ფილმი ორი განსხვავებული ადა-

მიანის ცხოვრებას ასახავს. ერთ-ერთი ამბის გმირია ახალგაზრდა გორელი ბიჭი (მის როლს გიორგი გოგუაძე თამაშობს), რომელიც ომის დაწყების შემდეგ დევნილად იქცევა და ბიძასთან ყაზბეგში მიემგზავრება. მეორე ისტორია კი ახალგაზრდა წყვილს ეხება (ხათუნა შურლია და ბექა ქავთარაძე). ისინი თბილისში ცხოვრობენ, კონფლიქტის ადგილიდან საკმაოდ შორს, თუმცა ეხედავთ, თუ რამდენად ცვლის ომი ადამიანების ცხოვრებას. წყვილი მომავალზე იწყებს ფიქრს, თუმცა უფრო ნეგატიურ ჩრდილში - ღირს თუ არა ოჯახის შექმნა, ღირს თუ არა შვილების გაჩენა, აქვთ თუ არა მათ საერთოდ მომავალი.

აქვე შეგახსენებთ, რომ სან სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალზე 2003 წელს დიტო ცინცაძის მიერ გერმანიაში გადაღებულმა ფილმმა Schussangst "ოქროს ნიჟარა" მოიპოვა.

დინამო ვარსკვლავებს ეთამაშება

ჭედიდ ფემარში ევროლიგის წინ



მიხეილ აბიშვილი

დღეს, 30 ივლისს, ევროსარბიელს შემორჩენილი ბოლო გუნდი, თბილისის "დინამო" ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის სასტარტო, საშინაო შეხვედრას გამართავს. შეჯახსენებთ, რომ მეორე ეტაპზე საქართველოს ტასის მოქმედმა გამარჯვებულმა ლატივის "მეტალურგს" ორი შეხვედრის ჯამში 4:3 სძლია.

ამჯერად ჩვენებს გაცილებით სერიოზული მეტოქე ელით. გუნდი, რომელიც ფორტუნამ "დინამოს" ამ ეტაპზე არგანა, აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა და მდიდარი საფეხბურთო ტრადიციებიც გააჩნია. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბელგრადის "ცრვენა ზეზდა" ჩემპიონთა თასის გამარჯვებულია 1990-91 წლის გათამაშებაში. მაშინ ამ გუნდმა ფინალში მარსელის "ოლიმპიკს" პენალტების სერიაში სძლია. იმავე წელს ამ გუნდმა საკონტინენტთაშორისო თასიც მოიგო. გუნდი იუგოსლავიის 25-გზის ჩემპიონია, 22-ჯერ აქვს მოგებული ქვეყნის თასი. ცემპიონთა თასზე მოპოვებული ნარმატების გარდა "ცრვენა ზეზდამ" ერთხელ უეფას თასის ფინალშიც გააღწია (1979 წელს), თუმცა, ეს ყველაფერი ნია საუკუნეში ხდებოდა და ბოლო ათეული წლის განმავლობაში ამ სერბულ კლუბს საერთაშორისო

ასპარეზზე რაიმე ღირებულებას ვერმეტივს არ მიუღწევია. თუმცა, ამ თვალსაზრისით არც თბილისის "დინამო" გამონაკლისი. წინა საკვალიფიკაციო ეტაპზე "ცრვენა ზეზდამ" სლოვენური "რუდსარს" ორი თამაშის ჯამში ხუთი უპასუხო გოლი გაუტანა. აღსანიშნავია, რომ ეს გუნდი მთელს ევროპაში გამოირჩევა ერთგული და აგრესიული გულშემატკივრებით. "რუდსარსთან" ბელგრადულმატარს 25 ათასი ქომავი დაესწრო, საერთოდ კი "ცრვენა ზეზდას" სტადიონი 55 ათას გულშემატკივარს იტევს. "ცრვენა ზეზდა" გუშინ, საღამოს 17 საათზე ჩამოფრინდა ბელგრადი-თბილისის ჩარტერული რეისით. გუნდს თან 18 სპორტული ჟურნალისტი და ორმოცდაათამდე გულშემატკივარი ჩამოყვა. სერბები სასტუმროში არც დაბინავებულან, ისე მიაშურეს ეროვნული სტადიონს და მატჩისწინ ვარჯიშის დროს მწვანე მინდორი გადააწითლეს ("ცრვენა ზეზდას" ტრადიციული ფერები თეთრ-წითელია).

ბელგრადელებამდე ეროვნული არენის გაზონი მასპინძლებმა მოთელეს. აღსანიშნავია, რომ დღევანდელ მატჩში "დინამოს" ერთი სერიოზული დანაკლისი აქვს: ფუნდი და სანვრთელი შეკრება დაუკითხავად დატოვა კამერუნელმა ლეგიონერმა, ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელმა, დონალდ ჯუისმა, რომელიც

სამშობლოში გაემგზავრა. "როგორც თავად ფეხბურთელმა განგვიცხადა, ჯუისი კამერუნის ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე იყო გამოზახებული, თუმცა, ამ შეკრების და გამოძახების თაობაზე კლუბში კამერუნის ფედერაციიდან არანაირი შეტყობინება არ მიგვიღია. გამოძახება კლუბში ოფიციალური მოწვევა რომც მიგველო, ჩვენი პოზიცია ასეთი იყო, რომ ფეხბურთელი კამერუნში გამგზავრებას ვერ მოახერხებდა, რადგან ეს შეკრება ფიფას მიერ დადგენილ ვადებში არ იყო დაგეგმილი, რაც კლუბს მისი არგამგზავნის უფლებას აძლევდა. საფეხბურთო კლუბი "დინამო თბილისი" საქმის კურსში ჩააყენებს ფიფას შესაბამის სტურქტურებს და ფეხბურთელის მიმართ ფიფას მიერ გათავალისწინებულ სანქციებს გაატარებს", - განუცხადა "24 საათს" "დინამოს" პრესატაქსემ, გიგა გვენცაძემ. ჯუისის ერთ-ერთი ალტერნატივა გასბონელი ლეგიონერი, ჯორჯ აკირემია. თუმცა, "მეტალურგსთან" განმეორებით შეხვედრაში ნათლად გამოჩნდა, რომ ეს თავდამსხმელი ოპტიმალური სპორტული ფორმისგან, გნებავტ ფიზიკური კონდიციებისგან საკმაოდ შორს იმყოფება. ეს გუშინდელ ვარჯიშზე გამართულ ორმხრივ შეხვედრაშიც დადასტურდა და ამის გამო კახა კაჭარავას რაიმე სხვა ვარიანტის გამოძებნა მოუწევს.

მატჩისწინ ვარჯიშმა ჩვეულ რიტმში ჩაიარა. ძუნძული, მოთელვითი ხასიათის ვარჯიშების კომპლექსი, ეგრეთ ნოდებული "კვადრატისე, კარში დარტყმები და ორმხრივი თამაში - ამ ყოველივემ დაახლოებით ერთ საათს გასტანა, რის შემდეგაც გუნდი დილმის სანვრტუნელ ბაზაზე გაემგზავრა. "ბელგრადის" "ცრვენა ზეზდა" გაცილებით სერიოზული და ძლიერი მეტოქეა, ვიდრე "მეტალურგსი". თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რაიმეს დათმობას ვაპირებთ. ვფიქრობ, "დინამოს" ამ მეტოქის ბარიერის დაძლევის პოტენციალი ნამდვილად გააჩნია და ჩვენ ამ მიზნის მისაღწევად ძალას არ დავიშურებთ, ჩემთვის ორმაგად სასიხარულო იქნება, თუ ამ ამოცანის შესრულებაში საკუთარ წვლილს გატანილი გოლებით ც შევიტან", - განუცხადა "24 საათს" "დინამოს" შემტევა ნახევარმცველმა, გიორგი მერებასვილმა, რომელმაც მეტალურგსს ორი გოლი გაუნატა და ჩვენი გუნდი შემდეგ ეტაპზე სწორედ ამ გოლების წყალობით აღმოჩნდა. რაც შეეხება "ცრვენა ზეზდას", ამ გუნდის მწვრთნელების გადამწყვეტილებით წინასამატჩო ვარჯიში "დაიხურა" და ჟურნალისტებს დასწრების უფლება არ მოგვეცა. მატჩი დღეს 18 საათზე დაიწყება და ამ სეხვედრაში "დინამოს" ქომავების მხარდაჭერა ნამდვილად ნაადგება.

"მილანი" მხოლოდ ახალგაზრდებს იყიდის

ერთი თვეც და დაიხურება სატრანსფერო ფანჯარა, "მილანი" კი ნორმაული ფეხბურთელი არ შეუძენია. კლუბის მესვეურების განცხადებით "როსონერი" ამ ეტაპზე მხოლოდ ახალგაზრდა ფეხბურთელების შეიძენითაა დაინტერესებული. ადრე "მილანს" იმის გამო აკრიტიკებდნენ, რომ მის შემადგენლობაში 30 წლის ასაკს გადაცილებული არაერთი ფეხბურთელი ირიცხებოდა, მაგალითად: პაოლო მალდინი, კლარენს ზედორფი და დევიდ ბექჰემი. "ჩვენ აღარ შევიძენთ ისეთ მოთამაშეებს, რომლებიც 30 წელს არიან გადაცილებულნი. ამჟამად, ჩვენი სამიზნეები 23 წელზე უფრო ახალგაზრდა ფეხბურთელები იქნებიან", - აღნიშნა სილვიო ბერლუსკონი.

დუნგამ შემადგენლობა დაასახელა

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები 12 აგვისტოს ტალინში ესტონეთის ეროვნულ გუნდს ამხანაგურ შეხვედრაში დაუპირისპირდება. "სელესაოს" თავკაცმა კარლოს დუნგამ საამმატჩოდ გამოძახებულთა სიაში თითქმის ყველა ის ფეხბურთელი შეიყვანა, რომლებმაც ერთი თვის წინ სამხრეთ აფრიკაში კონფედერაციის თასი მოიგეს.

ესტონეთთან მატჩის შემდეგ, "სელესაო" შესარჩევი ტურნირის მორიგ შეხვედრაში სწორედ დიეგო მარადონას გუნდს დაუპირისპირდება. საესტონეთოდ კი, დუნგამ შემდეგი 22 ფეხბურთელი შეიგულა:

შეკარები: ჟულიო სეზარი ("ინტერი", იტალია), გომესი ("ტოტენჰემი", ინგლისი);

მცველები: მაიკონი, ლუსიო (ორივე "ინტერი", იტალია), დანიელ ალვეში ("ბარსელონა", ესპანეთი), ანდრე სანტოსი ("ფენერბაჰჩე", თურქეთი), მარსელიო ("რეალი", ესპანეთი), მირანდა ("სან პაულუ"), ჟუანი ("რომა", იტალია), ლუიზაო ("ბენფიკა", პორტუგალია);

ნახევარმცველები: ელანო ("მანჩესტერ სიტი", ინგლისი), ჟულიო ბაპტიშტა ("რომა", იტალია), კაკა ("რეალი", ესპანეთი), ჟილბერტო სილვა ("პანათინაიკოსი", საბერძნეთი), ჟოზეფ ("ვოლფსბურგი", გერმანია), ფელიპე მელიო ("იუვენტუსი", იტალია), კლემენტონი ("ფლამენგო"), რამირესი ("კრუსაირო");

თავდამსხმელები: ლუიზ ფაბიანო ("სევილია", ესპანეთი), დიეგო ტარდელი ("ატლეტიკო მინიერი"), რობინიო ("მანჩესტერ სიტი", ინგლისი), ნილმარი ("ვილიარეალი", ესპანეთი).

რიკელმე ნაკრებს მიღმა დარჩა

12 აგვისტოს არგენტინის ნაკრები ამხანაგურ მატჩი რუსეთის ეროვნულ გუნდს გაეჯიბრება მოგვიანებით კი ბრაზილიის ნაკრებთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ელის. დიეგო მარადონამ იმ ფეხბურთელების გვარები დაასახელა, რომლებიც ამ ორ შეხვედრაში მიიღებენ მონაწილეობას, ნაკრებში კვლავაც ვერ მოხვდა ხუან რომან რიკელმე.

შეკარები: ხუან პაბლო კარისო ("სარაგოსა", ესპანეთი), მარიანო ანდუხარი ("კატანია", იტალია);

მცველები: ხავიერ ძანეტი, ნიკოლას ბურდისო (ორივე "ინტერი", იტალია), ემილიანო პაპა, ნიკოლას ოტამენდი (ორივე "ველეს სარსფილდი"), გაბრიელ შინცე ("რეალი", ესპანეთი), დანიელ დიასი ("ხეტაფე", ესპანეთი), მარტინ დემიკელისი ("ბაიერნი", გერმანია);

ნახევარმცველები: ხავიერ მასკერანო ("ლევერკუზენი", ინგლისი), ფერნანდო გაგო ("რეალი", ესპანეთი), სებასტიან ბატალია ("ბოკა ხუნიორსი"), მარიო ბოლათი ("ურაკანი"), მასიმილიანო როდრიგესი ("ატლეტიკო", ესპანეთი), იონას გუტიერესი ("ნიუკასლი", ინგლისი), ხესუს დატოლო ("ნაპოლი", იტალია), ხუან სებასტიან ვერონი ("ესტუდიანტესი");

თავდამსხმელები: ლიონელ მესი ("ბარსელონა", ესპანეთი), სერხიო აგუერო ("ატლეტიკო", ესპანეთი), კარლოს ტევესი ("მანჩესტერ სიტი", ინგლისი), ლისანდრო ლოპესი ("ლიონი", საფრანგეთი), დიეგო მილიტო ("ინტერი", იტალია), ესკვილ ლავეცი ("ნაპოლი", იტალია).

თვალის მიკროქირურგიის ჯანვრიშვილის კლინიკა "ოფთალმიჯი"

სიანლა

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის უკანასკნელი მიღწევა - ფაკოემულსიფიკატორი "INFINITI" კატარაქტის უნაკერო ქირურგიის ახალი ერა საქართველოში

რამოვანის განაკვეთი მხოლოდ 2.2 მმ!!!

ტელეფონი: 30 53 53; 30 10 80



იყიდება სამანევრო თბომავალი №2-1, 1990 წლის გამოშვება, ნამუშევარი საათების რაოდენობა 1500, ტვირთამწეობა 700-800 ტონა, ფასი 80000 ლარი დღგ-ს ჩათვლით. ტელ: 899 76 55 01, 8268 4 53 28



ბანცხადება

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურს თეატრის, კინოსა და ტრადიციული ხელოვნების სასწავლო - სამეცნიერო ინსტიტუტის - სამეცნიერო მიზნობრივ თემებზე - "ქართული თეატრის ენციკლოპედია" და "ქართული კინოს ენციკლოპედია" - მეცნიერ-თანამშრომელთა ვაკანტურ თანამდებობებზე შემდეგი მიმართულებით:

თეატრის მიმართულებით

- მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის საშტატო ერთეული - 2
- ნამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის ს. ე. - 3
- მეცნიერ-თანამშრომლის ს. ე. - 2

კინოს მიმართულებით

- მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის საშტატო ერთეული - 1
- ნამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის ს. ე. -3
- მეცნიერ-თანამშრომლის ს. ე. - 2

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.tafu.edu.ge
 საბუთების მიღება იწარმოებს ა.ნ. 5 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე.
 მისამართი: თბილისი, რუსთაველის N19. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის I (ადმინისტრაციული) კორპუსი.
 ტელ: 99 94 11

სატენდერო მოწვევა

საქართველო
 შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი
 (დამატებითი დაფინანსება)
 კრედიტის ნომერი 7671-GE
 სატენდერო მოწვევის ნომერი: SLRP/CW/NCB-51

სარეაბილიტაციო სამუშაოები შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის ჩოხატაური-ტობახჩო-სურები საავტომობილო გზის კმ0+000-კმ5-810 მონაკვეთზე

1. საქართველოს მთავრობამ მიიღო კრედიტი მსოფლიო ბანკიდან შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების პროექტის ხარჯების დასაფარავად და განზრახული აქვს ამ კრედიტის ნაწილი გამოიყენოს ადგილობრივი მნიშვნელობის ჩოხატაური-სურები-ტობახჩო საავტომობილო გზის კმ0+000-კმ5-810 მონაკვეთზე განსახორციელებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების კონტრაქტის ასანაზღაურებლად.

2. საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს დალუქულ სატენდერო წინადადებებს ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე და კვალიფიცირებული პრეტენდენტებიდან, მოსამზადებელი და მინის სამუშაოების, გზის საფარის, ხელოვნური ნაგებობების, მიერთებების და გადაკვეთების, გზის კუთვნილების და მოწყობილობის აღდგენა-განახლების სამუშაოების შესასრულებლად. სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადაა 10 თვე.

3. შესყიდვა ჩატარდება ეროვნული ტენდერის (NCB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში: "შესყიდვები განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკის სესხებით და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის კრედიტებით" და ღიაა ყველა პრეტენდენტისათვის, რომლებსაც სატენდერო დოკუმენტები განსაზღვრავს.

4. დაინტერესებულ, ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე პრეტენდენტებს შეუძლიათ დამატებითი ინფორმაცია მიიღონ და გაეცნონ სატენდერო დოკუმენტებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსთან ბ-ნ შაქრო ხალვაშთან ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10-დან 17 საათამდე.

5. კონტრაქტის მინიჭებისათვის კვალიფიცირების მიზნით, პრეტენდენტებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი მინიმალური საკვალიფიკაციო კრიტერიუმები:

a. სამშენებლო სამუშაოების მოცულობის საშუალო წლიური მაჩვენებელი უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში უნდა შეადგენდეს 3,200,000 სამი მილიონ ორასი ათასი ლარი ან ექვივალენტი;

b. სულ მცირე ერთი ობიექტის მშენებლობაში, როგორც მთავარი კონტრაქტორი ბოლო 3 წლის მანძილზე ექვივალენტური სამუშაოების ხასიათით და კომპლექსურობით, (ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, აღნიშნული სამუშაოების სულ მცირე 70% პროცენტი უნდა იქნას შესრულებული);

c. დოკუმენტურ დადასტურებას, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული რაიმე სასამართლო საქმეში მის გაკოტრებასთან, რეორგანიზაციასთან ან ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

d. საავანსო გადასახადებისაგან თავისუფალი ლიკვიდური აქტივები და/ან საკრედიტო საშუალებები, სხვა სუფთა კონტრაქტული ვალდებულებები, რაც შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას კონტრაქტის ფარგლებში - არა უმცირეს 400.000 (ოთხასი ათასი) ლარი ან ექვივალენტი;

6. სატენდერო დოკუმენტების მთლიანი პაკეტის შექმნა ინგლისურ ან ქართულ ენაზე დაინტერესებული პრეტენდენტებისათვის შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი მიმართვის და არაანაზღაურებადი 200 ლარის ან მისი ექვივალენტის აშშ დოლარებში გადახდის შემდეგ. გადახდის ფორმაა პირდაპირი გადარიცხვა შემდეგ ანგარიშზე:

ხაზინის ერთიანი ანგარიში
 სალარე ანგარიშის N 200 122 900
 სავალუტე ანგარიშის N 001 189 362
 მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
 ბანკის კოდი: N 220 101 222
 საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302 007 800
 გადასახადის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის (მიუთითეთ ობიექტის დასახელება)

სატენდერო დოკუმენტები კურიერული ფოსტით გაეგზავნებათ პრეტენდენტებს მათი ხარჯებით.

7. სატენდერო დოკუმენტები მოწოდებული უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2009 წლის 10 სექტემბერი დღის 1700 საათისა. ტენდერის ელექტრონული საშუალებებით ჩატარება არაა დაშვებული. დაგვიანებული სატენდერო წინადადებები არ მიიღება. სატენდერო წინადადებები გაიხსნება ქვემოთ მითითებულ მისამართზე, იმ პრეტენდენტების წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ პერსონალურად დაესწრონ ტენდერის გახსნას 2009 წლის 10 სექტემბერი დღის 1700 საათი.

8. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უსაფრთხოების საბანკო გარანტია, 40.000 ლარის ოდენობით ან ექვივალენტი კონვერტირებადი ვალუტაში. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 28 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას (60 დღე)

9. ზემოთ მითითებული მისამართი შემდეგია:
 საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო (IV სართული) სამმართველოს უფროსი შაქრო ხალვაში
 ალ. ყაზბეგის გამზირი N12, 0160 თბილისი, საქართველო,
 ტელ: + (995 32) 37-05-08 შიდა 215
 ფაქსი: + (995 32) 31-30-34
 E-mail: info@georoad.ge
 ვებ გვერდი: www.georoad.ge
 დეპარტამენტის სატენდერო კომისია

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 27 ივლისის N166 გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ "სახანძრო-სამაშველო სამსახურის შენობის მშენებლობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ"

ბანცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 27 ივლისის N166 გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ "სახანძრო-სამაშველო სამსახურის შენობის მშენებლობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" სატენდერო განცხადების N4 და N11 პუნქტებში შევიდეს შემდეგი ცვლილებები (შეცვლილი იქნას სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის, საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადების მიღების და ტენდერის ჩატარების ვადები) და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე ერთ პაკეტში დალუქულ ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ასლი ნოტარიულად დამონმებული) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 18 აგვისტოს 9 საათიდან 14 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N11-სატენდერო კომისიის აპარატში (1 სართული). სატენდერო წინადადება გაიხსნება 2009 წლის 18 აგვისტოს 14 საათზე. შემდეგ მისამართზე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა, II სართული, საკონფერენციო დარბაზში. ტენდერში მონაწილეობის უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადების გახსნას.

11. სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა ტენდერში მონაწილეობის მსურველებს შეეძლებათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, ხოლო გატანა 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2009 წლის 17 აგვისტოს 17 საათამდე.



INVITATION FOR BIDS

Georgia
Secondary and Local Roads Project (Additional Financing)
Credit No 7671-GE
Bid Invitation No: SLRP AF/CW/NCB-51

Chokhatauri-Tobakhcho-Surebi
Rehabilitation Works of Road Section km0+000 - km5+810

1. Georgia is applying for a credit from the World Bank toward the cost of the Secondary and Local Road Project and intends to apply part of the proceeds to eligible payments for contract for rehabilitation works of local road Chokhatauri-Tobakhcho-Surebi km0+000 - km5+810 section.
